აუდიოვიზუალური რეჟისურის სამაგისტრო პროგრამის „მხატვრული კინოს რეჟისურის“ მოდულზე მიღების წესი

კინო-ტელე ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე აუდიოვიზუალური რეჟისურა დაშვების წინაპირობაა:

• ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; შესაძლებელია ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი;
• ქართულ ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B 2 დონეზე);
• ინგლისური ენის ცოდნა- B 2 დონეზე მაინც;

პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია: სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება.
პროგრამაზე ჩასაბარებლად აბიტურიენტმა წერით გამოცდამდე უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი და შემოქმედეებითი პორტფოლიო, რომელიც უნდა შეიცავდეს ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილ ორიგინალურ ნამუშევარს, რომელიც საუკეთესოდ წარმოადგენს თქვენს მხატვრულ უნარებსა დაგამოცდილებას, შემოქმედებით იდეებს, ორიგინალურ ხედვასა და სტილს.
პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პორთფელიოში შეიძლება შედიოდეს: ფოტო ნამუშევრები (10-15 ფოტო), ნახატი, კოლაჟები, ვიდეოკლიპები, სცენარი (4-5გვ), კადრირება, ანიმაცია, ესსე და სხვა.
პროფესიული უნარ-ჩვევების შემოწმების პარალელურად შემოქმედებით ტურზე მოხდება კინო-ტელე და მასთან მომიჯნავე სხვა ხელოვნების დარგების ისტორიასა და თანამედროვე პროცესების შესახებ გასაუბრება.

მისაღები გამოცდები ტარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი – წერითი გამოცდა

კანდიდატი ახორციელებს პედაგოგის მიერ შერჩეული მხატვრული ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდის სტრუქტურულ ანალიზს, რაც მიზნად ისახავს მისი ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების შეფასებას.

II ეტაპი – გასაუბრება

გასაუბრება მიზნად ისახავს კანდიდატის თეორიული ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების შეფასებას რეჟისურის, კინოსა და მასთან მომიჯნავე ხელოვნების დარგების სპეციფიკისა და ისტორიის მიმართულებით.

ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს კინოს სფეროში მიღებული განათლება და/ან შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.